საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აფხაზეთის სახელმწიფო რესპუბლიკური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

აფხაზეთის სახელმწიფო რესპუბლიკური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ი. პაპასქირის სახელობისა, უნივერსალური პროფილის სამეცნ. ბიბლიოთეკა. დაარსდა 1921 კონფისკებული კერძო ბ-კების ბაზაზე. 1990 ბ-კის ფონდში იყო 491,9 ათ. დაცვითი ერთეული, 15 განყ-ბა. 8 სამკითხველო დარბაზი; ანბანური, სისტემური, უცხოური ლიტ-რის, შეერთებული სამხარეთმცოდნეო კატალოგები. ბ-კა დახმარებას უწევდა აფხ. ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა უწყებრივ ბ-კას. აქვს გამოცემული ბიბლიოგრაფიული საძიებლები (რუს.ენაზე): „დიმიტრი იოსების ძე გულია“ (1975), „ივანე გიორგის ძე პაპასქირი“ (1975), „ბაგრატ ვასილის ძე შინქუბა“ (1987), „აფხაზი მწერლები – დ. გულიას სახ. პრემიის ლაურეატები“ (1988) და სხვ.

ბიბლიოთეკა ამჟამად მდებარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ამიტომ მონაცემების განახლება დროებით შეუძლებელია.